

ტრენინგი კირნატსა და მარადიდში

23.10.2021 - 24.10.2021

ტრენინგის შესახებ

ტრენინგი განკუთვნილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კირნატსა და მარადიდში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კვების ობიექტების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგი მოიცავს სოფლად არსებული კვების ობიექტისა და საოჯახო სასტუმროს მართვის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. ტრენინგზე დასწრებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა.

შინაარსი

ტრენინგის თემატიკა:

თემა 1: განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და საერთაშორისო სტანდარტი.
- ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სტუმრის მიღების პროცედურები. ღამისთევა.
- დალაგების თავისებურებები.
- Covid 19-ის შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- სერვისების კალკულაცია.
- ანგარიშსწორების საკითხები.

თემა 2 - სამჭერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში და მათი სწორად სერვირება :

- სამჭერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში (საუზმე, სადილი, ვახშამი)
- ადგილობრივი კერძების უპირატესობა
- სერვირების სპეციფიკა
- კვების კალკულაცია